ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №343129

ნომერი: AR177874

თარიღი : 05.09.2012

გაცემის თარიღი : 10.09.2012

გაცნობის თარიღი : 26.09.2012

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ხეივანი დავით აღმაშენებელი , მე-12 კმ. ; ქალაქი თბილისი , ხეივანი დავით აღმაშენებელი , მე-

თბილისი ი.ჭავჭავაძის გამზ. N 66 ბ. 5

დამკვეთი-განმცხადებელი

- ქეთევან ფანცულაია პ/ნ 01008010269

ორგანიზაცია:

- შპს "არტსტუდიო პროექტი" კოდი: 204489393

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქ.თბილისის მერიის სსიპ – თბილსის არქიტექტურის სამსახურის 2009 წლის 14 ივლისის #714 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურს 2012 წლის 05 სექტემბერს #AR177874 განცხადებით მომართა მოქ. ქეთევან ფანცულაიამ და გიორგი ალიხანაშვილმა, და მოითხოვეს 14.07.09წ. #714 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა სამი ახალი საკადასტრო ერთეული დამატების გამო.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის ტანახმად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისში, ვაკე–საბურთალოს რაიონში, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე–12 კმ.–ზე არსებულ მიწის ნაკვეთზე საოფისე შენობის და ავტოსალონის ასაშენებლად სამსახურის მიერ გაცემული იქნა 14.07.09წ. #714 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობები. აღნიშნული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტი გაიცა 511 მ მიწის ნაკვეთზე, საკადასტრო კოდით: #01.72.14.014.065. განმხცხადებლის მიერ წარმოდგენილია სამი მომიჯნავე მიწის ნაკვეთის საკადასტრო გეგმები, საკადასტრო კოდით #01.72.14.014.606 – მიწის ნაკვეთის ფართობით – 12 მ^2; #01.72.14.014.572 – მიწის ნაკვეთის ფართობით – 300 მ^2 და #01. 72.14.014.585 – მიწის ნაკვეთის ფართობით 604 მ^2, რომელთა დამატებასაც ითხოვს სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში.

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით, მათ შორის ამ დადგენილებით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდესის 63-ე მუხლის თანახმად ადმინისტრაციულ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინები და ვინაიდან ობიექტი მშენებარეა, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია ცვლილება შეიტანოს ზემოაღნიშნულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში საპროექტო მიწის ნაკვეთზე საკადასტრო ერთეულების დამატებასთან დაკავშირებით.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 14.07.09წ. #714 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებს დაემატოს სამი საკადასტრო ერთეული – 12 მ^2 მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით #01.72.14.014.606; 300 მ^{2}მიწისნაკვეთი— საკადასტროკოდით#01.72.14.014.572 და 604 მ^{2}მიწისნაკვეთი საკადასტრო კოდით: #01. 72.14.014.585;
2. ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 14.07.09წ. #714 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში შენიშვნის სახით მიეთითოს:
• დაცულ იქნეს მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდით #01.72.14.014.065, #01. 72.14.014.606 და #01.72.14.014.572) განაშენიანების რეგულიების ხაზი (7 მ.) (იხ. დანართი);
• საოფისე შენობა განთავსდეს საზოგადოებრივ–საქმიანი ზონა 2 (სსზ–2)–ის გავრცელების არეალში, დაცულ იქნეს ფუნქციური ზონებს შორის საზღვარი საკადასტრო ერთეულებზე: #01. 72.14.014.606 , #01.72.14.014.585 და #01.72.14.014.572;
• საჭიროების შემთხვევაში განხორციელდეს არსებული შენობა–ნაგებობის დემონტაჟი და ტერიტორიიდან გატანა;
• საპროექტო ტერიტორიაზე გამწვანების არსებობის შემთხვევაში შენარჩუნებულ იქნეს არსებული ხე–ნარგავები, მათი მოჭრის ან გადარგვის შემთხვევაში საკითხი შეთანხმდეს ქ. თბილისის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურთან;

3. ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 14.07.09წ. #714 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებს დაემატოს განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და საკადასტრო გეგმა (საჯარო რეესტრისა მონაწერის რეგისტრაციის #882012379820; საკადასტრო გეგმის რეგისტრაციის №882012379820; ამონაწერის მომზადების თარიღი: 31.07.2012წ.; საკადასტრო გეგმის მომზადების თარიღი: 30.07.2012წ; საკადასტრო კოდი: 01.17.13.056.008.;);

4. აღნიშნული ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 28.12.2009წ. #1261 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებთან ერთად და სხვა ქალაქთმშენებლობითი პირობები დარჩეს უცვლელი;

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.